



8315/3-122/21 2 05082021

8315/3-122/21

05-08-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ირაკლი ქარსელაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. რამდენი ლარი იყო გამოყოფილი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან სარფში, ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენა-გამაგრებისთვის, რამდენი დაიხარჯა, რა ეტაპზეა სამუშაოები და როდის დასრულდება?
2. გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკურსის ფარგლებში სატენდერო დოკუმენტაცია-რამდენი კომპანია იღებდა ტენდერში მონაწილეობას და ვინ გაიმარჯვა?
3. ეკუთვნის თუ არა ტენდერში გამარჯვებული კომპანია სახელმწიფოს?

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3115-01-2-202109081054



N 01/3115

08/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ დავით ხაჯიშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 აგვისტოს №8315/3-122/21 განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის №4903/01; 05.08.2021), რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117-კმ119 (კვარიათი-სარფის) მონაკვეთის (ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა-გამაგრების და ქვის ცვენისაგან დაცვის და ფერდობების გამაგრების სამუშაებს ახორციელებდა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, 2019 წლის 15 მაისიდან შეწყდა 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლების თაობაზე ხელშეკრულება. შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში აღარ იმყოფება შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროში დაცული არ არის.

პატივისცემით,

კობა გაბუნია

მინისტრის მოადგილე

